№ 168 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. ხუთშაბათი, ივლისის 29 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მ.ნ. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება
„კახეთი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, აგვისტოს 22-ს ამა წლის ქ. ტფილისში, გოგოლის ქ. № 63, საკუთარი სახლი, დილის 9 საათზე დანიშნულია

წევრთა საგანგებო კრება

განსახილველია: 1. ექვსი თვის 1919—20 საოპ. წლ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. 2. გამგეობა—საბჭოს მოხსენება. 3. მამულის შეძენა და სარდაფის აშენება კახეთში. 4. მიმდინარე საკითხები. რადგანაც კრება მეორედ არის დანიშნული, კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 2007 1—1

ქუთაისის სავაჭრო სამრეწვ. სააქციონერო საზოგადოების

დამფუძნებელნი ამით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 5 ივლისს საზოგადოების წესდება დაამტკიცა.

საზოგადოების სამოქმედო თანხა წესდებით 30.000.000 მანეთით არის განსაზღვრული. თითო აქცია ღირს 1000 მან., რომლის ნახევარი მაინც უნდა იქნეს შემოტანილი ხელის მოწერის დროს. საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად კი 50 მ.ნ. თითო აქციაზე ერთდროულად. ხელის მოწერა მი ღება 10 აგვისტომდის შემდეგ ბანკებში:

ქუთაისში: საერთაერთო კრედიტის საზოგადოებაში, სამეურნეო სამრეწველო კრედიტის საზოგადოებაში და აზოვო დონის კომერც. ბანკში.

ტფილისში: ამიერ კავკასიის ბანკში, ცენტრალურ ბანკში და სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში.

ბათუმი: ამიერ კავკასიის ბანკში, ცენტრო-ბანკში და საერთაერთო კრედიტის საზოგადოებაში.

ფოთი: ქართულ სავაჭრო ბანკში. 2004 3—1

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

1 ივლისი, 1920 წ., № 250.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და დათხოვნილია სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მოხელე მიხეილ წერეთელი ამა წლის ივლისის 1-დან.

1 ივლისი, 1920 წ. № 252.

დაინიშნა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის მანქანაზე გადამწერად ნინო თომა ჯანყარაშვილის ასული ამა წლის ივნისის 26-დან.

13 ივლისი, 1920 წ., № 267.

ქ. ბათუმიდან დაბრუნების შემდეგ დღეიდან შეუდექი ჩემი თანამდებობის აღსრულებას.

დეპარტამენტის დირექტორი

ვ. ჟორდანია.

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟოს ნაწილის უფროსისა.

19 მაისი, 1920 წ. № 29.

ინიშნებიან: ტფილისის საბაჟოში: ამავე საბაჟოს ბუხჰალტერის უმცროსი თანაშემწე ი. ყირქესელაშვილი ბუხჰალტრის უფროს თანაშემწედ. ამავე საბაჟოს რეკისტრატორები: ელენე მიქაძე ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწედ და ლ. გაბუნია მდივნის უმცროს თანაშემწედ.

ზემოაღნიშნულნი პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობებზე ამა წლის 14 მაისიდან.

1 ივლისი, 1920 წ., № 42.

ინიშნებიან: ტფილისის საბაჟოში: მოქალაქე შოთა ყარალაშვილი საწყობის ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, ტფილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიაში კურს დამთავრებული ბ. მარკოზიშვილი რეგისტრატორის თანამდებობის აღმასრულებლად; ნადეჟდა ივანეს ასული ბობოხიძე რეგისტრატორად.

ფოთის საბაჟოში: ტფილისის საბაჟოში რეგისტრატორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად დაშვებული ა. ფალავა მდივნის უფროს თანაშემწის თანამდებობის ასასრულებლად და იგზავნება ტფილისის საბაჟოში მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად; ტფილისის საბაჟოს რეგისტრატორის თანამდებობის აღმასრულებელი გ. მონიავა მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ამავე საბაჟოს მდივნის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. სოსელია გემის ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ამავე საბაჟოს ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. მინაევი გემის ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; მოქალაქე ვლ. საბაშვილი ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად, გიორგი ი. ორჯონიკიძე ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად.

სოხუმის საბაჟოში: ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის კურს დამთავრებული ე. გველესიანი ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად.

ახალ ათონის საბაჟოში: ფოთის საბაჟოს ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ხელიძე გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად და იგზავნება ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილში სამუშაოდ.

ყაზბეგის საბაჟოში: მოქალაქე გიორგი გეწაძე გამკის მე-2 თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად.

წინარის წყლის საბაჟოში: ტფილისის საბაჟოს ბუხჰალტრის ყოფილი უმცროსი თანაშემწე ა. წულუკიძე გამგის თანაშემწედ და იგზავნება საბაჟო ნაწილში სამუშაოდ.

ზემოაღნიშნული პირნი ინიშნებიან ხსენებულ თანამდებობაზე ამა წლის პირველ ივლისიდან. გარდა გეწაძისა, რომელიც ინიშნება ამა წლისა 22 ივნისიდან.

დათხოვნილია სამსახურიდან: სოხუმის საბაჟოში: ამავე საბაჟოს ბუხჰალტრის უმცროსი თანაშემწე ა. ლაუდანსკი, თანახმად თავისი თხოვნისა, შინაურ გარემოებისა გამო ამა წლის 18 ივნისიდან.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილის მმართველი **ბ. მიქაძე.**

შტატი

1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

№№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი ყველას.
			მანეთი.		
	8. სასტუმროების ორთქლით გათბობა.				
1	მემანქანე	3	1470	17640	52920
2	მეღუმელე	3	1365	16380	49140
	სულ	6	—	—	102060
	9. დროებითი სახტუმრო.				
1	გამგე	1	1680	20160	20160
2	კანტორის მოხელე	1	1365	16380	16380
3	თეთრეულობის გამგე	1	1260	15120	15120
4	მეეზოვე	1	1260	15120	15120
5	მეკარე	4	1155	13860	55440
6	მრეცხავი იატაკის და კარიდორში მომუშავე	2	1060	12720	25440
7	მოსამსახურე ქალი	5	840	10080	50400
	სულ	15	—	—	198060
	10. საავადმყოფო.				
1	უფროსი ექიმი	1	3000	36000	36000
2	მოწყალების და (ბებია)	1	840	10080	10080
3	ფერშალი	2	840	10080	20160
4	მზარეული	1	315	3780	3780
5	მოსამსახურე	2	315	3780	7560
6	მომვლელი ქალი და სანიტარი	4	315	3780	15120
7	მეეზოვე	1	315	3780	3780
	სულ	12	—	—	96480
	11. ახალი სახტუმრო.				
1	მეკარე	2	1155	13860	27720
2	მოსამსახურე ქალი	4	840	10080	40320
	სულ	6	—	—	68040
	12. ზეთის კერის სასტუმრო.				
1	მეკარე	1	1260	15120	15120
2	კარიდორში მომუშავე	2	1050	12600	25200
3	მოსამსახურე ქალი	3	840	10080	30240
	სულ	6	—	—	70560
	13. ტექნიკური სახელოსნოები.				
1	გამგე	1	1680	20160	20160
2	თვლების გამკეთებელი	1	1470	17640	17640
3	დახგაზე მომუშავე	3	1470	17640	52920
4	ზეინკალი	1	1470	17640	17640
5	დურგალი	1	1155	13860	13860
6	უფროსი შეგირდი	1	735	8820	8820
7	მცირეწლოვანი შეგირდი	1	630	7560	7560
	სულ	9	—	—	138600
	14. საამშენებლო განყოფილება.				
1	ოსტატი	1	1680	20160	20160
2	დურგალი	4	1470	17640	70560
3	დურგლის თანაშემწე	1	1050	12600	12600
4	მებუხრე	1	1050	12600	12600
	სულ	7	—	—	115940
	15. მახალების საწყობი.				
1	გამგე	1	1680	20160	20160
2	დარაჯი	2	1365	16380	32760
	სულ	3	—	—	52920
	16. საუსბო.				
1	დარაჯი	1	1260	15120	15120
	სულ	1	—	—	15120
	17. სავაჭრო მოედანი.				
1	ბაზრის მეთვალყურე	1	1260	15120	15120
	სულ	1	—	—	15120

1920 წ. ივნისის 7-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

სამელიორაციო კრედიტი

მიწად-მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა განმარტებითი წერილი, რომელიც შეეხება „მელიორაციისათვის საჭირო კრედიტს დებულებას". ამ წერილში ნათქვამია:" წარმოებით ჯერ კიდევ ლარიბ ხალხის კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენს უმთავრესად სასოფლო მეურნეობა. საქართველოს მეურნეობის საქმე თუ იგი რაციონალურად იქნა დაყენებული, მაშინ საქართველოს ეყოფა მისი მოსავალი და უცხო ბაზრიდან დამოუკიდებელი შეიქნებაო. სასოფლო მეურნეობის განვითარება, სხვათა შორის დამოკიდებულია კაპიტალზე. ამიტომ მთავრობამ სესხის სახით დახმარება უნდა გაუწიოს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს. ამ გაუმჯობესებათა შორის პირველი ადგილი უჭირავს მორწყვისა და ჭაობთა ამოშრობის საქმეს". ამიტომ საჭიროა სამელიორაციო კრედიტი 150 მილ. მანეთისა. სესხი მიეცემა სამაზრო ერობებს, თემებს და სადაც თემები არ არის იქ სასოფლო საზოგადოებებს, ქალაქის თვითმმართველობებს, საწყლო ამხანაგობათ, კოოპერატიულ და კერძო იურიდიულ და ფიზიკურ პირთ. დებულების პროექტს განმარტების წერილითურთ განსახილველად მთავრობას წარუდგენენ.

იუსტიციის სამინისტროში

კანონთა გადამსინჯავ კომისიაში.

კანონთა გადამსინჯავ სამოქალაქო და სისხლის კომისიების კრებაზე, რომელიც ამ დღეებში იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდება, საბოლოოდ განიხილავენ კანონ-პროექტს სახელმწიფო მოსამსახურეთა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში პასუხის გების შესახებ.

რეგისტრაციის წესი.

სამოქალაქო კანონთა გადამსინჯავ კომისიის უკანასკნელ სხდომაზე საბოლოო რედაქციით განიხილეს შინაგ. საქმ. სამინისტროში შემუშავებული კანონ-პროექტი დაბადების, შეუღლებისა და სიკვდილის სამოქალაქო წესით რეგისტრაციის შესახებ.

დამფუძნებელი კრება

27 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

დეკრეტი ჯარში და გვარდიაში აგიტაციისათვის სასჯელის გადიდების შესახებ.

ზ. გურული (სამხედრო კომისიის სახელით). იმ არაჩვეულებრივ პირობების დროს, რომელიც იყო ჩვენს რესპუბლიკაში ამ ორი წლის წინად პარლამენტმა მიიღო ეგრედ წოდებული 5 ივლისის კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ კანონში რვა სხვა და სხვა დანაშაული არის ჩამოთვლილი, რომლითაც დამნაშავენი სიკვდილით ისჯებიან. ორი წელიწადია, რაც ეს კანონი ტარდება ცხოვრებაში, მაგრამ არის ისეთი დანაშაული, რაც სისტემათ გადაიქცა და დაუსჯელი რჩება. ეს დანაშაული არის აგიტაციის წარმოება ჯარში და გვარდიაში, რომლითაც მოუწოდებენ არსებულ წყობილების დამხობას. მომქმედ კანონით სიკვდილით ისჯება დამნაშავე, რომელიც აჯანყებაში მიიღებს მონაწილეობას. ვინც კი აგიტაციას ეწევა და ხელს უწყობს ამ აჯანყებას, ის დაუსჯელი რჩება ან სულ მცირედ სასჯელს იღებს. ამას მიაქცია ყურადღება თავდაცვითი საბჭომ და შეამდგომლობა აღძრა ამ სასჯელის შემოღების შესახებ. იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა დეკრეტი, ომელიც მოწონებული არის, როგორც სამხედრო, აგრეთვე იურიდიულ კომისიის მიერ. ამ დეკრეტით, ვინც ჯარისკაცს, სახალხო გვარდიელს, სამხედრო სამსახურში მყოფ პირს, ნაწილს ან რაზმს ან რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალას, მოუწოდებს სიტყვით ან წერილობით, საჯაროდ ან ფარულად, თავისი ან სხვისი ნაწერის, ფურცლის ან თხზულების გავრცელებით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებულ წესწყობილების შესაცვლელად ან მის მთავრობის ჩამოსაგდებად, ან მხედრობაში აგიტაციას გასწევს ამ მიზნით ან წაქეზებს, რომ კანონი ან მთავრობის კანონიერი განკარგულება არ აასრულოს, ის დაისჯება როგორც აჯანყებაში მონაწილეობისათვის, თანახმად საქართველოს პარლამენტის 1918 წლის ივლისის 5-ს კანონისა.

ი. ფირცხალაიშვილი (იურიდ. კომ. სახ.). იურიდიულმა კომისიამ განიხილა ეს დეკრეტი და სავსებით იზიარებს სამხედრო კომისიის აზრს. ჩვენ ვცხოვრობთ განსაკუთრებულ პირობებში და საგანგებო ზომები არის საჭირო მათ წინააღმდეგ, ვინც მოინდომებს ჩვენი რესპუბლიკის დამხობას.

ივ. გობეჩია. არა ერთხელ გამოგვითქვამს ჩვენ აზრი, რომ წინააღმდეგი ვართ სიკვდილით დასჯის, ახლაც მთელი ჩვენის არსებით ვეწინააღმდეგებით ამ დეკრეტს, რომელიც მიზანს ვერ მიაღწევს. ესერები ტერორს მოითხოვდენ ხოლმე იმიტომ, რომ სხვა საშუალება აღარ რჩებოდათ, ტერორს საგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა. სოციალდემოკრატიას კი აქვს საშუალება თავისი იდეები ავრცელოს ხალხში სხვა გზით. რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობა არ მისულა მაგ ზომამდე, იქ აგიტაციისათვის სიკვდილით არ სჯიდენ.

რ. არსენიძე (იუსტიციის მინისტრი) ამ საკითხზე პრინციპიალური დავის ატეხა შეიძლება არ ყოფილიყო, რადგანაც როდესაც შემოვიღეთ 5 ივლისის კანონი ამაზე დიდი დავა იყო, ცხოვრებამ გაამართლა ამ ინსტიტუტის შემოღების საჭიროება. რევოლიუციონურ შემოქმედების დროს ყოველივე სიტყვა ლამობს საქმეთ გადაიქცეს და დღეანდლამდე არ ყოფილა საქმე, რომელიც იარაღის არგუმენტზე არ ყოფილიყოს დამყარებული. წარმოდგენილ დეკრეტის მიზანი არის ზედმეტი სისხლის დაღვრა თავიდან იქნას აცდენილი. რამდენიმე პირის დასჯა სჯობს სამოქალაქო ომს. ამ შემთხვევაში ჩვენ ვდგევართ რევოლიუციონურ ნიადაგზე და ვამბობთ, რომ რევოლიუციონურ ხანაში ყველა ბრძოლის საშვალებანი რევოლიუციონურ მთავრობის მიერ მისაღებია რომლითაც ხალხს ააცდენს ზედმეტ სისხლის ღვრას. ჩვენ არ გვიკვირს, როდესაც აქ გამოდიან იურისტები და გაიძახიან ეს დეკრეტი მუღებელია. იმათ აქვთ დოგტრინა, რომ სიკვდილით დასჯა არ სწარმოებს ადამიანს არ სპობს ბოროტმოქმედებას მაგრამ როდესაც აქ რევოლიუციაზე არის ლაპარაკი, როდესაც სამოქალაქო ომია მოსალოდნელი ამ დროს ცხოვრების ნორმალურ პირობებში მომქმედ კანონეზე ლაპარაკი არ შეიძლება. მეორე კითხვა არის ეს დეკრეტის მიზან შეწონილობა როდესაც ამას წინააღმდეგ გამოდიან ესერები, მუდმივ ტერორისტები, რომელთაც ტერორი ბრძოლის ერთ-ერთ საშვალებათ მიაჩნდათ. ეს მათი გამოსვლა ამ დეკრეტის წინააღმდეგ არა თუ პრინციპიალურად დაუსაბუთებელია, არამედ იგი დიდი ულოგიკობაც არის. აქ გობეჩია იძახდა როგორ შეიძლება სამიოდე დღეში დამნაშავე სიკვდილით დასაჯონ და ამათ მოუსპონ საშვალება ნახოს თავის დედამამაო და გამოეთხოვოს მათ. ამას ამბობს ის კაცი, რომელთა ამხანაგებიც მოულოდნელათ ასალმებდენ ხალხს წუთისოფელს. ამ ხალხს (ნაგულისხმ. ესერები) აქვს ერთი მთავარი პრინციპი ეს არის ყველა ბოროტმოქმედების დაცვა ყველა მოწინააღმდეგის გამოსარჩლება. დიახ ეს ფაქტია შემდეგ ამისა მინისტრი ეხება იმას თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს აგიტაციას სულ მცირეოდენი პირების მიერაც კი. საქმის გაკეთება ძნელია გაფუჭება კი ადვილია აქ ესერებს იმდენი შეუძლიათ ილაპარაკონ, რომ დაამცირონ ხალხის თვალში დამფუძნებელი კრება, მაგრამ მათ კარგის მოტანა დამფუძნებელ კრებისათვის კი არ შეუძლიანთ, ცუდს ადვილათ ეთვისება ადამიანი. როდესაც ჯარში გასწევენ აგიტაციას არ შეიძლება რომ ოცი ათას კაცში არ გამოჩნდეს მცირეოდენი ნაწილი, რომელიც აყვება ამ აგიტაციას, და განა მცირეოდენ ნაწილს, არ შეუძლიან დიდი ზიანი მოუტანოს ჯარს და დაშალოს იგი. წარმოიდგინეთ რომ ეს აგიტაციით გაჟღენთილი ხალხი ომში საპასუხისმგებლო ადგილას მოექცა და განა მცირეოდენი ნაწილს არ შეუძლიან ათასობით დაღუპოს ხალხი. ჯერ თუ ჩაადენინებ ბოროტ-მოქმედებას და მერე დასჯი ეს საქმეს ვერ უშველის. შეიძლება თქვენ გეგონოთ, რომ თითქოს ამ კანონით შეურაცხყოფას ვაყენებდეთ გვარდიას და ჯარს სწორედ ჯარი და გვარდია თხოულობს გაგვანთავისუფლეთ ბოროტ ელემენტებისაგან, აგვაცდინეთ ზედმეტ სისხლის ღვრასო. ამ კანონის ინსტანცია ჯარიდან გამომდინარეობს. აგიტაციას, რომელსაც შედეგათ მოსდევს ანარქია მსხვერპლათ ეწირებიან ჩვენი საუკეთესო მოქალაქენი, მის ჩაქრობაზე დიდი ენერგია იხარჯება და დღეს ისეთ პირობებში ვიმყოფებით, რომ ყოველ ასეთ აგიტაციას თან სდევს აქეიური გამოსვლები. გობეჩია გვირჩევს ნიკოლოზის კანონებით ვისარგებლოთ, ჩვენ არ გვინდა ნიკოლოზის ბედი გავიზიაროთ. სჯობია სიკვდილით დასჯა შემოვიღოთ და ზოგიერთ რომანტიულ აღმაფრენას თავი მივანებოთ და ამით თავიდან ავიცდინოთ სამოქალაქო ომი. გობეჩიამ სთქვა: მაგალითად მოუწოდა მოქალაქემ, რომელიმე დუქნის პატრონს „ვივესკეზე" წარწერის შეცვლის შესახებ არსებულ დადგენილებას ნუ აასრულებო და ნუ თუ ამის გამო მოქალაქე ამ კანონით უნდა დაისაჯოსო. წაკითხულს გაგება უნდა, არავითარი ამის მზგავსი არ არის. ეს დეკრეტი შეეხება ჯარში და გვარდიაში გაწეულ აგიტაციას, რომელსაც მიზნათ ექნება დასახული დემოკრატიულ რესპუბლიკის შეცვლა და მთავრობის ჩამოგდება. აი ამისათვის ისჯება. მთავრობის დამხობა ნიშნავს ახალ გადატრიალებას (ადგილიდან: არჩევნებით) არჩევნებით ეს გადატრიალება კი არ გახლავთ ეს არის გადაყენება ერთი პირის და ნაცვლად მეორეს არჩევა. ეს უნდა იცოდეთ ესერებო, თუ თქვენ მოუწოდებთ ჯარს დაამხონ მთავრობა ცხადია მომხრე ხართ, რომ რესპუბლიკა დაინგრეს, ეს კანონი არ ესიამოვნებათ იმ წრეებს, რომლებიც იცავენ ყოველთვის მოღალატეებს, აქაც შეეცდებიან პრინციპიალური დასაბუთება გამონახონ ამ კანონის წინააღმდეგ. ეს არის კანონი, რომელიც გამოდის თვით ხალხის წიაღიდან: (შენგელაია ადგილიდან: მოახდინეთ რეფერენდუმი) ამის შესახებ რეფერენდუმს მოვახდენთ მაშინ, როცა არჩევნები იქნება, და მაშინ გავიგებთ, რომ ხალხი შენგელაიების აგიტაციებს არ იწონებს. თუ ვისმეს ჰგონია, რომ ეს დეკრეტი გვინდა მუდმივად, შეცდომაა, არც მთავრობა და არც პოლიტიკური ჯგუფები ამას მუდმივ ხასიათს არ აძლევენ. უდიდესი შეცდომა იქნებოდა მთავრობის მხრივ, რომ მას წინასწარ არ მიეღო ზომები, რათა თავიდან აცდენილ ყოფილიყო სისხლის ღვრა, ვისაც ეს სურს, ვინც მოსურნეა სისხლის მორევში არ ჩაიხრჩოს ჩვენი ქვეყანა ამ დეკრეტს მხარი უნდა დაუჭიროს. (ტაში)

(დასასრული იქნება)

აჭარის საქმეები

საუბარი ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილთან

ტფილისში ჩამოსული ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი ასეთ ნაირათ ახასიათებს აჭარის პოლიტიკურ სიტუაციას: ზემო და ქვემო აჭარაში საქართველოს ჯარების შემოსვლის შემდეგ სრული სიწყნარეა. არავითარი ექსცესები არ ყოფილა არც შემოსვლის დროს და არც მის შემდეგ. პროვაკატორებმა ვერ მიაღწიეს თავის მიზანს და ისინი იძულებულნი იყვნენ აჭარიდან გაქეცულიყვენ. აჭარის პოლიტიკური პერესპექტივები ბათომის ოლქში ჯერ თათრებისა და შემდეგ ინგლისელების ყოფნის დროს მეტად ბუნდოვანი იყო. ამ გაურკვეველ მდგომარეობით სარგებლობდენ სხვა და სხვა პირები და ზოგი მათგანი აჭარლებს საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებდა. იყო შემთხვევები, როდესაც აჭარლებს აწოდებდენ იარაღს საქართველოს წინააღმდეგ გასალაშქრებლად. მაგრამ აჭარლებმა იცოდენ, რომ ეს პირები იყვენ მოსყიდულნი. ამ აგიტაციას ხელს უწყობდა „სედაი მილეთის" კომიტეტი. ამან და სხვა მოვლენებმა გამოიწვია საქართველოს წინააღმდეგ აჭარლების ამხედრება და იარაღით გამოსვლა. ამ ჟამად მე შემიძლია კატეგორიულათ განვაცხადო, რომ აჭარა ლოიალურად არის განწყობილი თავის მოძმე ქართველებისადმი. როდესაც გსურთ მაშინ დავამტკიცებ, რომ აჭარას არც წინეთ სურდა და არც ეხლა სურს ავტონომია, როგორც ამას ზოგიერთი პირები მას თავს ახვევენ. ბათომში მყოფ ზოგ მუსულმან მოღვაწეთა განცხადებას აჭარის ავტონომიის შესახებ ხალხი მხარს არ უჭერს. ამგვარათვე უფლება არა აქვს ხალხის სახელით ილაპარაკოს ბათომის მეჯლისმა, რომელიც დემოკრატიულ საარჩევნო სისტემით არ არის არჩეული. ბათომის მეჯლისი დაუყონებლივ უნდა იქნას გაშვებული. აჭარას არა სურს ავტონომია და იგი საქართველოს უერთდება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. მაგრამ აჭარა საერთო კეთილდღეობის მიზნით ითხოვს, რომ მას მიეცეს ცხოვრების ისეთი უფლებანი, როგორიც მას სურს და მისთვის საჭიროა. აჭარელთა სურვილები შემდეგია: ხალხის სარწმუნოებრივი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სკოლათა გახსნის უფლება. ამ სკოლაში ხალხმა უნდა ასწავლოს თავის შვილებს იმგვარად, და იმ ენაზე, როგორც ეს მას მოესურვება. აჭარლები თვით მოითხოვენ ქართულ ენაზე სწავლებას, რადგან მათ ოჯახებში მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. სმას გარდა სასურველია ტფილისში გაიხსნას უმაღლესი სამუსლიმანო სასულიერო სასწავლებელი მოლების მოსამზადებლად. სამოსამართლო საქმეები უნდა სწყდებოდეს შარიათით. აგრარული საკითხი აჭარაში უკვე გადაწყვეტილია და ამიტომ სასურველია შიგ არ იქნეს შეტანილი რაიმე სერიოზული ცვლილება. ჯემალ ბეგი შეეხო არეშე საშიროების საკითხს და განაცხადა, საქართველოზე რომ წამოვიდეს რუსეთი, სომხეთი, ინგლისი ან სხვა რომელიმე სახელმწიფო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მთელი აჭარა შეიარაღებული გამოვა და მტერს სასტიკათ შეებრძოლებაო. რაც შეეხება ეკონომიურ მდგომარეობასო, განაცხადა ჯემალ ბეგმა, უნდა ვსთქვა, რომ აჭარა ვერ არის უზრუნველყოფილი თვით პირველ საჭიროების ნივთებითაც კი, აჭარას უმთავრესად ესაჭიროება მანუფაქტურა, მოსავალი წელს, მგონი, დამაკმაყოფილებელი იქნეს, კარგ მოსავალს ელიან აგრეთვე თამბაქოსას.

შემდეგ ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა აჭარაში საერთო ქართული კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობის წარმოება. გამოგზავნეთ ჩვენში ისეთი ხალხი, როგორც არის მაგალ. გენერ. ჩიქოვანია, რომელიც უყვარს აჭარას და რომელმაც 1914 წ. აჭარა გადაარჩინა განადგურებასო.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

უკრაინის ახალი კაბინეტი.

უკრაინაში შესდგა ახალი კაბინეტი, რომლის სათავეში სოციალისტ-ფედერალისტი ვ. პროკოპოვიჩი ჩადგა. ახალ კაბინეტში 31 სოც. ფედ. 5 სოც. დემ. ერთი სახალხო სოციალისტი და დანარჩენი სამოსტინიკებია. საგარეო მინისტრის პორტფელი ნიკოვსკის ჩაბარეს. უკრაინის სოც. დემოკრ. კაბინეტში შემდეგი პირობით შევიდა. მიწად მოქმედების მინისტრის პორტფელი უნდა მიეცეს სოც. დემოკრ. უნდა გამოცხადდეს დროებითი კონსტიტუცია, აგრაარული რეფორმა უნდა გატარდეს იმ სახით, როგორც ტარდებოდა იგი უკრაინაში პოლონელების მისვლის წინ.

სრულიად რუსეთის ყრილობის მოწვევა.

უკრაინის პრესბიურო იუწყება, პარიზში ბურცევის ინიციატივით სრულიად რუსეთის ყრილობას იწვევენო. ამ ყრილობაზე მონაწილეობას მიიღებენ: რუსეთის ყველა კუთხის წარმომადგენლები.

ტაიმსის ცნობები.

თანახმად „ტაიმსის" ცნობებისა ქუჩუკ-ხანის ჯარები ზღვის ნაპირით მიიწევენ იმ ზონისაკენ, რომელიც ინგლისის ჯარებს უკავიათ, და რომელიც ყაზვინის ახლო მდებარეობს. რუსეთის ბოლშევიკებს ასტარა უკავიათ.

ჩეხო-სლოვაკია და გერმანია.

ჩეხო-სლოვაკიასა და გერმანიის შორის ქვანახშირის მიწოდების შესახებ ახალი ხელშეკრულება დაიდო. ჩეხო-სლოვაკიამ უნდა მიიღოს სელეზიიდან 10100J ტონი ქვანახშირი.

გაზ. „ტანი" გენ. ვრანგელის შესახებ.

„ტანი" ეხება გენ. ვრანგელის ჯარების მდგომარეობას. სხვათა შორის იგი საკითხის პოლიტიკურ მხარეზე უფრო ვრცლად ჩერდება და სწერს: „გენ. ვრანგელი აღნიშნავს თავის მდგომარეობის სირთულეს, მას ესმის, რომ წესრიგის აღდგენა შეიძლება არა მარტო სამხედრო ძალით, არამედ გლეხების თანაგრძნობის მოპოებით. მან იცის, რომ გლეხებს არ სურთ არც ძველი რეჟიმის დაბრუნება და არც ბოლშევიკური ძალა-უფლების არსებობა. ამიტომ გენ. ვრანგელის მიზნები ასეთია: 1) მორალური გაჯანსაღება, 2) ეკონომიურ ცხოვრების აღდგენა, 3) უფლებრივ წყობილების მომხრეთა გაერთიანება, 4) გლეხების მატერიალურად უზრუნველყოფა და 5) ყველა საზოგადოებრივ ელემენტების ამუშავება.

სპარსეთი და ადერბეიჯანი.

თეირანიდან იუწყებიან: სპარსეთის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა ადერბეჯანის რესპუბლიკა. სპარსეთის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლად ბაქოში იქნება ნაზიმ-ხანი. თეირანის კაბინეტმა დაადგინა გაგზავნოს ბაქოში საგანგებო კომისია სპარსეთსა და ადერბეიჯანს შორის ხელშეკრულების დასადებათ.

მუშათა ფედერაცია.

მუშათა ფედერაციამ გადასწყვიტა ფაბრი-

ქების დახურვისა და მოსალოდნელ უმუშევრების გამო მოაწყოს დიდი დემონსტრაცია. განზრახულია შემდეგი მოთხოვნილებების წამოყენება. 8 საათის საბუშაო დღის შემოკლება, ზედმეტ სამუშაოს აღკრძალვა და საჭირო ზომების მიღების აუცილებლობა, რომ მომავალში უმუშევრობა თავიდან აცილებულ იქნეს.

რუსეთის ახალი მისიის გაგზავნა ლონდონში.

„ტაიმსის“ კოპენჰაგენელი კორესპოდენტი იუწყება: თანახმად მოსკოვიდან მოსულ ცნობებისა, კრასინი ლონდონში აღარ დაბრუნდება. მის მაგივრად გაგზავნილი იქნებიან: ნოგინი და ჩიჩერინი. ჩიჩერინს დააკისრებენ განსაკუთრებულ მისიას—გამართოს მოლაპარაკება არა მართო ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ, არამედ გამართოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობის ცნობის შესახებაც. ჩიჩეერინმა უნდა გადაწყვიტოს აგრეთვე სპარსეთის, მცირე აზიის და რაც უმთავრესია, ანტანტასთან ზავის ჩამოგდების საკითხი. ჩიჩერინი მოსკოვიდან ამ უახლოეს დღეებში გამოემგზავრება.

ახალი ამბები

✦ დამოუკიდებლობის ფონდი. თანახმად დამფ. კრების პრეზიდიუმის წინადადებისა ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა დამოუკიდებლობის ფონდის შესაქმნელად სათანადო კომიტეტი მოაწყოს. ამ კომიტეტის მოწყობა ა. პაპავას მიენდო.

✦ უცხო ვალიუტის კურსის დაწევა. თანახმად სავაჭრო სამრეწველო პალატის ცნობისა, უცხო ვალიუტის კურსი უკანასკნელ დღეებში თანდათან ეცემა, საშუალოდ კურსმა 12—15% დაიწია.

✦ ხელმწიფო ბანკში. სასურსათო განყოფილებამ ქალაქის თვითმართველობას შუამდგომლობით მიმართა. ის თხოულობს, რომ მას ნება დართონ. საქართველოს სახელმწიფო ბანკიდან ათი მილ. მან. სესხის აღებისა ქალაქისათვის სურსათის შესაძენად.

✦ ქალაქის თვითმართველობაში. ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა [აუკრძალოს ყველა მედუქნეებს, წვრილ მოვაჭრეებს პურისა და მჭადის გაყიდვა. იგი უკრძალავს აგრეთვე ვაჭრობას ქუჩა-ქუჩად მოსიარულე პურით მოვაჭრეთ. ეს უკანასკნელი ღონისძიება იმ მიზნით არის მიღებული, რომ მომხმარებელმა უშუამავლოდ გლეხებისაგან იყიდოს საჭირო სურსათ-სანოვაგე.

✦ დახარჯებულ ჯარის კაცთა ექიმობა. სამხედრო სამინისტროს სასანიტარო განყოფილება აქვეყნებს სიას იმ ჯარისკაცებისას, რომლებიც 29 ივლისიდან გაიგზავნებიან საექიმოდ ახტალას საავადმყოფოში: პოლკ. ფჩელაშვილი, ლეიტ. ახობაძე, კაპ. ფარსულიძე, კაპ. აბრამიშვილი, რ. პორ. მახარაძე, ლეიტ. ნემსაძე, მაიორი გველესიანი, მოხელე ნეიმანი, მაიორი გუკია, მაიორი შკაპიჩი, ჯარის კაცნი: ცაგარელი, მიხ. ახალაძე, დ. თვალჭრელიძე, სტ. მანსრაპაშვილი, მ. ჭუმბურიძე, ს. ბარომია, ვ. ღალიძე, ო. სომხაძე და ე. აბაშიძე.

✦ მედიკამენტები ბათომის ოლქისათვის. ჯარის სანიტარულ ნაწილის უფროსი მედიკამენტებით გაემგზავრა ბათომის ოლქში. განზრახულია ბათომში საგანგებო სამხედრო გოსპიტლის გახსნა.

✦ სამხედრო მინისტრი გ. ს. ლორთქიფანიძე მთხოვნელებს იღებს ოთხშაბათობით და შაბათობით 10—11 საათამდე.

✦ წითელი ჯვრის ორგანიზაციები ფრონტზე. წითელი ჯვრის ქართული საზოგადოების რწმუნებული, რომელიც დაბრუნდა ბათომის ოლქიდან, იუწყება ფრონტზე მყოფ წით. ჯვრის საზოგადოების ორგანიზაციების შესახებ. ბათომში და ბათომის ოლქში მუშაობს ორი გაძლიერებული მოწინავე სანიტარული რაზმი და სანიტარული მატარებელი. პირველი მოწინავე რაზმი ერთი თვეა რაც საექიმო დახმარებას უწევს ჯარის ნაწილებს. ამ რაზმმა ზემო აჭარაში გახსნა კიდევ ერთი საავადმყოფო, რომელიც არა მარტო სამხედრო ნაწილებს უწევს სამსახურს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც. ამ საავადმყოფოდან მცხოვრებლებს წამლებს უფასოდ ურიგებენ. მეორე მოწინავე რაზმი დახმარებას უწევს სად. ჩაქვის ახლო მდგომ ჩვენი სამხედრო ნაწილებს. ეს რაზმი ამ დღეებში გაემგზავრება შუა აჭარისაკენ და აქ ერთ ერთ სოფელში ლაზარეთს გახსნის. სასანიტარო მატარებელი სდგას ბათომში და ლაზარეთის ფუნქციას ასრულებს. მატარებელთან იმყოფება ვაგონი—ლაბორატორია პროფ. ამირეჯიბისა და ბაქტორიოლოგ ბაუცის ხელმძღვანელობით. ეს პირები იკვლევენ ბათომში გადმდებ სნეულებათა გაჩენის მიზეზებს. ამ დღეებში ბათომსა და ბათომის ოლქში წითელი ჯვრის ორგანიზაციების მოქმედებასთან გასაცნობათ მიემგზავრება წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე მ. ფ. მგალობლიშვილი და მთავარი რწმუნებული ა. გ. ურუშაძე.

✦ ორდენი საფრანგეთის უმაღლეს კომისარს. ამიერ კავკასიაში მყოფმა საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა გრაფმა დე მარტელმა საბერძნეთის მეფისაგან მიიღო სამადლობელი წერილი იმის გამო, რომ იგი ციმბირში ყოფნის დროს ბერძენ მოქალაქეებს სამშობლოში დაბრუნების საქმეში ეხმარებოდა. მადლობის წერილთან გამოგზავნილია გეორგ პირველის ორდენი. ამგვარივე ორდენი გამოუგზავნეს უმაღლეს კომისრის მდივან მაიორ პეშკოვსაც.

✦ სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენ. გედევანიშვილი მთხოვნელებს იღებს ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 11 ს. დღის $1^1/_2$ საათამდის.

✦ უმაღლესი განათლება. მთავრობის წინადადებით, ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის და სამოსწავლო ნაწილის მდგომარეობის შესასწავლად სახალხო განათლების სამინისტროსთან დაარსეს საგანგებო კომისია. კომისიაში შედის: პროფ. ი. ჯავახიშვილი, ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი ს. ჯაფარიძე და ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი ჩხეიძე.

✦ სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტს საექიმო ფაკულტეტს გადასცეს ძველი საფერშლო სკოლა, სადაც სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის განკარგულებით ანატომიური ინსტიტუტი მოეწყო. მიღებულია ზომები გისტოლოგიურ კათედრის დასაარსებლად. უკვე მოეწყო ფიზიოლოგიური ლაბორატორია.

✦ პროფესორთა ხაჯის განცხადება. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო აცხადებს, რომ ბუნების მეტყველებისა და სამათემატიკო ფაკულტეტებზე თავისუფალია შემდეგი კათედრები: მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის, საზოგადო მიწად-მოქმედების, ზოოლოგიის, კერძო მიწად-მოქმედების, ზოოტეხნიის, სასოფლო მეურნეობის, ეკონომიის და სტატისტიკის, მებაღეობის და მებოსტნეობის, მეღვინეობის და მცენარეთა კულტურის. ყველამ, ვისაც შესაფერ კათედრის მიღება სურს, უნდა მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებაში, სახელმწიფო ენის არა მცოდნე პირების მიღებაც შეიძლება იმ პირობით, თუ სამი წლის შემდეგ ისინი სახელმწიფო ენაზე დაიწყებენ მეცადინეობას. ყველა ასისტენტი და ორდინატორი ვალდებულია სახელმწიფო ენა იცოდეს. პროფესორებს და დოცენტებს უნდა ექნეთ სამეცნიერო ხარისხი. ლექტორებს კი უმაღლესი განათლება.

✦ გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი. გზ. მიმოსვლის დეპარტამენტის ბრძანებით კახეთის რკინის გზის გამგის მოადგილეთ მექანიკურ განყოფილების უფროსი ინჟენერი მაისურაძე დაინიშნა.

✦ ტეხნიკური კომისია. გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა მთავრობის საქმეთა გამგეს აცნობა, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა, დეპარტამენტმა ევროპაში რკინის გზისათვის საჭირო მასალების შესაძენად საგანგებო კომისია გააგზავნა. ამ ჟამად, ვინაიდან საჭირო მასალების ყიდვა უკვე დაიწყო კომისია თხოულობს რომში აუცილებელ თანხის გადაგზავნას.

✦ სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი ი. სმირნოვი და ვიცე-დირექტორი დ. ცინცაძე 27 ივლისს უკვე დაბრუნდნენ ბათომიდან, სადაც გაგზავნილი იყვნენ სამსახურის საქმეების გამო და მოხსენებით წარუდგენ სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებელს.

✦ საერთაშორისო ხაფხტო დამოკიდებულება. კონსტანტინოპოლში მყოფმა ქართულმა მისიამ საგარ. საქმ. სამინისტროს საშვალებით ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს გამოუგზავნა წერილები და აცნობა, რომ სტამბოლის საკონსულო იღებს მრავალ წერილს საქართველოში გადმოსაგზავნათო.

✦ ხაბზი მასალის განაწილება. ივლ. 26 სათბობი მასალის განმანაწილებელ ბიუროს თათბირი მოხდა. იხილავდენ საკითხს ბენზინის განაწილების შესახებ მთავრობის, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა შორის. თათბირზე გამოირკვა, რომ ბიუროს განკარგულებაში ყოფილა 2 ცისტერნა ბათომიდან ჩამოტანილი ბენზინი. ბათომში ყოფილა კიდევ 10 ცისტერნა ბენზინი. გადასწყვიტეს ბათომს, გაუზავნონ ერთი წარმომადგენელი სათბობი მასალის თადარიგის გამოსარკვევათ.

✦ მარილი. ქალაქთა კავშირმა ფოთში იყიდა 25 ვაგონი მარილი საქართველოს ქალაქთა შორის გასანაწილებლად.

✦ ნახიჩევანის რაიონი. სომხეთის დიპლომატიური მისია იუწყება: სომხეთის ჯარის მიერ სასტიკი ბრძოლების შემდეგ ივლ. 25 სადგ. შახტახტისა და მის ახლო მდებარე სოფელთა დაკავების შემდეგ, ივლ. 26 ერევანში ჩამოვიდა ნახიჩევანის მცხოვრებთა ახალი დელეგაცია, რომელსაც მთავრობამ საბოლოოდ დამორჩილების პირობები წარუდგინა. ცნობაა, რომ ამ პირობებს ისინი სავსებით მიიღებენ და ნახიჩევანის რაიონი სომხეთს უბრძოლველად დაუბრუნდება.

✦ სომეხთა ეროვნულ საბჭოში. ივლისის 27 შესდგა სომეხთა ეროვნული საბჭოს სხდომაზე აღმასრულებელი კომ. თავმჯდომარემ ერზიკიანცმა, რომელიც დელეგატათ იყო მოსკოვში გაგზავნილი, განაცხადა: ჩიჩერინმა კატეგორიულად სთქვა, რომ ყარაბახის საკითხი გადასწყდება პლებისკიტით მცხოვრებთა ნებასურვილის თანახმად.

✦ სამხედრო მინისტრის ბრძანება. სამხედრო მინისტრმა დეპეშით აუწყა გენ. მდივანს ბათომში და გენ. წულუკიძეს ახალციხეში ხელი შეუწყონ ფოსტა ტელეგრაფის უწყებას ბათომის ოლქში ტელეგრაფის ხაზის გაყვანაში.

✦ კოოპერატივთა თათბირი. კოოპერატიულ ბანკის შანობაში ივლ. 27 შესდგა კოოპერატივების კერძო წარმომადგენელთა კრება, რომელსაც კოოპერ. ორგანიზაციათა 60 წარმომადგენელი დაესწრო. განიხილეს საკითხები: 1) დამატებითი აქციის გამოშვების; 2) ბათომში კოოპერატიულ საკომისიო სააგენტოს დაარსების და 3) კოოპერაციის ფინანსიური პოლიტიკის შესახებ დაადგინეს: გამოუშვან 10 მილიონის დამატებითი აქციები. ბათომში გახსნან სააგენტო, რომლისთვისაც ცენ. კომ. უკვე იშოვა შენობა. ფინანსიური პოლიტიკის შესახებ დაადგინეს: კრედიტი აიღონ სახელმწიფო ბანკიდან კოოპერატიული ბანკის საშუალებით და არ დაუშვან კოოპერატივების მიერ სეპარატიულად სესხის აღება.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

გერმანული პრესა.

ხორცით თავისუფალი ვაჭრობა.

სასურსათო მინისტრი გერმესი მზათ არის დართოს ხორცით თავისუფალი ნება იმ შემთხვევაში თუ პურით უზრუნველყოფილი იქნებიან მომავალ წელიწადში. კარტოფილის კარგი მოსავლის მოლოდინში მომავალ თვეში მისი გაყიდვის საქმე გაფართოებული იქნება. ჩრდილო გერმანიის შტატების მთავრობა თანახმაა ნება დართოს თავისუფალი ვაჭრობისა შინაური საქონლისა და ხორცით 1 დეკემბრის შემდეგ. ეს თავისუფალი ვაჭრობა დამოკიდებული იქნება საზღვარ გარეთიდან საკვები მასალისა და ხორცის მოტანაზე.

მცხოვრებთა განიარაღების კანონი.

გერმანიის კაბინეტმა მოიწონა სპაში შემუშავებულ მცხოვრებთა განიარაღების კანონი.

საფრანგეთი და გერმანია.

გეორგ ბერნგარდი, რომელიც მსურველი იყო საფრანგეთთა შეთანხმებისა მიუნხენში ელჩათ დანიშვნას სვლის... (დამახინჯებულია) სვამს საკითხს, ნუ თუ კიდევ უნდა გადაიტანონ ტანჯვა გერმანიამ და საფრანგეთმა, რითაც ისარგებლებს მარტოთ მარტო ინგლისიო.

საფრანგეთის ჟანდარმერია საარაში.

საარის ოლქში წესრიგის დაცვა ევალება საფრანგეთის საგანგებო ჟანდარმერიას.

გერმანია და სპის კონფერენცია.

გერმანიის კანცლერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მოხსენება გაუკეთეს რეიხსტაგს სპის კონფერენციის შესახებ. კანცლერმა საგარეო საქმეთა მინისტრს კაბინეტის სახელით მადლობა გამოუცხადა; რეიხსტაგი მას ტაშის ცემით შეეგება.

დ-რ დორტენის დაპატიმრება.

დ-რ დორტენი, რომელსაც სურდა რეინის რესპუბლიკის პრეზიდენტობა, ლეიპციგის საიმპერიო სასამართლოს ბრძანების თანახმად ვის მადენში დააპატიმრეს. ეს დაპატიმრება, უთუოდ, ხანგრძლივი არ იქნება, რადგან ფრანგბურტის პოლიცია რეინის კომისიის მიერ გამოცემულ კანონის თანახმად არ მოიქცა. კაბინეტში მომხდარ კრებაზე რეინის ქრისტიანთა სახალხო პარტიამ, კელონში მიღებულ რეზოლიუციის წინააღმდეგ, დორტენს ნდობა გამოუცხადა.

ფრანგული პრესა.

ფიზიოლოგთა კონგრესი.

1916 წელში პარიზში უნდა შემდგარიყო ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესი, მაგრამ ამ კონგრესს ხელი შეუშალა ომმა. ეხლა საფრანგეთის კომიტეტმა შარლ რიშეს თავმჯდომარეობით გადასწყვიტა მოიწვიოს კონგრესი. საფრანგეთის კომიტეტს მოწოდებას მრავალმა ფიზიოლოგმა გასცა პასუხი. გამოცხადდა 21 ერის 239 დელეგატი და სორბონში 197 ფრანგ მეცნიერი შეხვდა. კონგრესსზე გააკეთეს 300 განცხადება და ცდის 40 დემონსტრაცია. საერთო აზოით ეს დიდი წარმატებაა. კონგრესის შემდეგი სხდომა დანიშნულია ედინბურგში.

ჟან ჟორესის გარდაცვლის წლის თავი.

ქ. ლიდშს ჟან ჟორესის სიკვდილის წლის თავის აღსანიშნავად გამართულმა მანიფესტაციამ წყნარად ჩაიარა. დეპუტატმა ბონკურმა გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა.

პოლონეთს საკითხი.

ვარშავიდან იუწყებიან: პოლონეთის მინისტრთა საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ სეიმში დეკლარაცია წაიკითხა. მან განაცხადა: ერის მთელი ძალა შეიკრიბება სამშობლოს დასაცავად. ზავს მაურველი ევროპა, განაცხადა ვიტოსმა, პოლონეთის მხარეზე იქნება როდესაც გაიგებს, რომ ჩვენ ვიბრძვით ჩვენი უფლებისათვის. მთავრობა, ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ მოკავშირეები დაიხმაროსო.

საფრანგეთი და უნგრეთი.

უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მიიღოს საფრანგეთის მისიის მეთაური ამირბარი ფუშე და საფრანგეთის ფინანსთა წრის წარმომადგენელი დე-სენსოვერი, რომელსაც სურს ეკონომიური კავშირი აღადგინოს საფრანგეთსა და უნგრეთის შორის,

ელჩთა რწმუნებულება.

ვენიდან იუწყებიან: საფრანგეთის, იტალიისა და ინგლისის ელჩებმა თავისი რწმუნებულება გადასცეს პრეზიდენტს. საფრანგეთის ელჩს სიტყვის საპასუხოთ პრეზ. ზეიტაცმა განაცხადა: ავსტრიის ხალხმა იცის, თუ ქვეყნიერებას როგორი სამსახური გაუწია საფრანგეთმა თავისუფლებისაკენ პირველ ნაბიჯების გადადგმაში. მან მადლობა გადაუხადა საფრ. ელჩს დამოკიდებულების აღდგენის გამო, ფილანტროპიულ და უხვ დახმარებისათვის მან თავისი სიტყვა შემდეგნაირად დაასრულა: ავსტრიის რესპუბლიკა მოიკრებს მთელ ძალ-ღონეს, რომ შეასრულოს საზავო ხელშეკრულება და ევროპაში შექმნას შეურყეველი მშვიდობიანი ელემენტიო.

ბირჟის კურსი.

ლონდონი — 49,33, ნიუ-იორკი—12,96, ბელგია—$106^1/_2$, იტალია—70, პრაგა—26, რუმინეთი—$33^1/_2$, შვეიცარია—224.

კოკუზანის სააგენტო.

მარსელი ივლ. 25. ბრინჯი—176, მუხუდო 95, კარტოფილის ფქვილი—125, ჰავრი—ივლ. 25. ივლისის ბამბა—700, აგვისტოსი—680, სექტემბრის—674.

ლიონი. სევენის აბრეშუმი—225, იტალიის—234, სირიის—2000, იაპონიის—210, ჩინეთის—260, კანტონის 185.

მოსკოვის რადიო პოლონეთის მთავრობას აუწყებს, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა დროებითი ზავის შეკვრისა.

ვარშავაში მიღებული რადიო იუწყება: საბჭოთა სარდლობის ბრძანებით წითელი ჯარი უკან იხევს.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოუსმინა ორ რუს პოლიტიკურ მოღვაწეს რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულების შესახებ. ეს პირები ურჩევდენ მოკავშირეებს აღიარონ ბელორუსეთი, უკრაინა და სხვა განაპირა ერები.

მუსტაფა ქემალი

გაზეთ „ტანის“ ლონდონის კორესპონდენტის ცნობით მუსტაფა-ქემალს აღარ შეუძლიან თავისი ჯარი მორჩილებაში იყოლიოს. ეზგატში ანტი-ქემალისტური მთავრობა გამოცხადდა. მთავრობის თავმჯდომარემ შეკრიბა 2000 პარტიზანი და ჩორუმში მყოფ ნაციონალისტთა სარდალი დააპატიმრა. მუსტაფა-ქემალმა ბრძანება გასცა სომხეთის ჯარებზე შესატევად, მაგრამ მისი ძალები სულ დაშლილია და საეჭვოა, რომ მან ეს შესძლოს.

მილიერანი და ლ. ჯორჯი.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მილიერანი სამშაბათს ლოიდ ჯორჯს ბულონში უნდა შეხვდეს. ეს შეხვედრა გამოიწვია საბჭოთა მთავრობის ცნობამ, რომ იგი ლებულობს ინგლისის წინადადებას რუსეთსა და მ.სთან მეომარ მოსაზღვრე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ლონდონში კონფერენციის მოწვევის შესახებ. მან იმავ დროს სურვილი გამოსთქვა, რომ მოკავშირეთა წარმომადგენლებიც დაესწრენ ამ კონფერენციას. ინგლისის მთავრობამ დაუყონებლივ აცნობა ეს მოკავშირეებს. მარშალი ფოში და ფრანსუა მარშალი ბულონ-სირ-მერში წასვლის დროს მილიერანს წაყვებიან.

რუსეთის სარდლობა პოლონეთის პარლამენტიორებისა და ბალშევიკების სარდლობის შეხვედრის დღეთ ივლისის 30 ნიშნავს.

ბოსკოვიდან რადიო. ყველა ის გემები, რომლებიც ოდესაში მიდის, უნდა გაჩერდეს 25 მილის მოშორებით, მათ რადიოთი უნდა სთხოვონ ნავთსადგურის უფროსს, რომ მან მათ ნავთსადგურში შესვლის ნება დართოს.

გერმანია და საფრანგეთი.

გერმანიის საგ. საქმ. მინისტრმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ იგი ბედნიერია საფრანგეთის მიერ ლორინის ელჩათ დანიშვნით, რადგან იგი ხელს შეუწყობს საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებასო.

გაზ. „დება" სირიის შესახებ.

„დება" იხილავს რა გენ. გუროს ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციებს სირიაში, რომელიც დამსკის ოკუპაციით გათავდა, სწერს ეს ეკონომიური (?) ზომა აუცილებელი იყო. ემირ ფეისალი სთვლიდა რა თავის თავს მიუწდომლად ყოველთვის ხელს უშლიდა სირიაში საფრანგეთის კანონიერ მოქმედებასო. ამას გარდა მან დაიწყო აშკარა მოწოდება, უთუოდ, საფრანგეთის ჯარის საწინააღმდეგოთ. უნდა ბრძოლა დაგვეწყო მანამ, სანამ საშიშროება გაიზრდებოდა. უნდა ბოლო მოღებოდა ამას, და ამიტომ უნდა მიულოცოთ დიდ ჯარისკაცს, რომელმაც საფრანგეთს სირია მოუპოვა. საფრანგეთმა დაიწყო ბრძოლა მშვიდობიანობის დასამყარებლად. საფრანგეთს სურს მუსილმან ქვეყნებთან მეგობრული თანამშრომლობა და ქრისტიანების დაცვა.

სპაში მომხდარი შეთანხმების თანახმად უნდა დაეხმარონ გერმანიის მემალაროვეთ, რათა ნახშირის დამუშავება უფრო გაძლიერდეს. ინგლისმა, ბელგიამ და იტალიამ ამ მიზნისათვის გერმანიას უნდა მისცენ ავანსი, რათა ამგვარათ გერმანიას საშვალება მიეცეს თავისი ვალდებულებანი აღასრულების. რადგანაც საფრანგეთი იღებს 1,600,000 ტონ ნახშირს გერმანიის 2 მილ. ნახშირიდან, დეპუტატთა პალატის ბიუროში მთავრობამ წარადგინა კანონ პროექტი, რომელიც ნებას აძლევს ფინანსთა მინისტრს მონაწილეობა მიიღოს მოკავშირეთა ამ ოპერაციაში.

სამხედრო ცნობებიდან.

26 ივლ. გროდნოს სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა ჯარმა დაბა კუშეიცი დაიკავა და იანოვსკოლჟის რაიონში იბრძვის. ვოლკოვისკის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტერი დაამარცხა დ შეტევას განაგრძობს. ბრესტ-ლიტოვსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი კრუკანის რაიონში იბრძვის. დუბნო-ბროდსკის რაიონში ჩვენ ვსდევნით უკან დახეულ პოლონელებს. ივლ. 26. ჩვენ ტარნოპოლი ავიღეთ. ყირიმის მხარეში ქალ. ორეოვთან ბრძოლაა.

ოსინსკი „პრავდაში" სწერს: დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ზარბაზნების გამარჯვებამ, საერთაშორისო პრობლემები უკანა რიგში დასწია (გამოტოვებულია) სასურსათო მდგომარეობა წარსულზე უარესია. ყოველივე სიძნელის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა, რომ ყურადღება მივაქციოთ სასურსათო ფრონტს. აუცილებელია პარტიულ მუშათა მობილიზაცია ისე, როგორც ტრანსპორტის მობილიზაცია მოხდა. სასურსათო მდგომარეობა სერიოზულ გავლენას იქონიებს, თუ მას საკმარისი ყურადღება არ მიექცა. საბჭოთა რესპუბლიკა იმდენათ გაიზარდა და განმტკიცდა, რომ მას შეუძლია თავისი თავის კვებაც და ომის შეუსვენებელი წარმოებაც. საჭიროა დაუყონებლივ დაიწყოს ბრძოლა სასურსათო ფრონტზე.

ხოლმოგორის მონასტრის გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა: მიწაში ჩაფლული ოქროს და ვერცხლის 200 ნივთი. ბეღლებში აუარებელი სურსათი. სანაგე ორმოში ორი ბოჭკა ზეთი, ბერებს აღმოაჩნდათ 3000 არშინი ფართალი.

ზანცხადებანი

1920 წ. ივნისის 29 დღესა ტფილისის უფროს ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სალომე გრიგორის ასული, სერგო. თამარა და მარგარიტა იოსების ძე ბაშლემოვებმა, ბარბარე იოსების ასული მელიკ ალახერდოვმა და მარიამ იოსების ასული ბუთულოვმა მიჰყიდეს ქეთევანა ელიზბარის ასულს ბურჭულაძეს ერთი ნაკვეთი მიწისა, ზომით 480 ოთხკუთხიანი საჟ., მდებარე ქ. კოჯორში, ქალაქის № 35 ქვეშ.
1659 1—1

1920 წ. ივნისის 23-ს ტფილისის ოლ. სას. უფროსი ნოტარიუსისაგან ჩანიშნული იქმნა სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა შედგენილია თელავის ნოტ. პოზოევისაგან ივნისის 14 დღესა 1920 წ. რომლითაც გიორგი და მოსეს სარქისას ძეთ თარხანოვებმა შეიძინეს ნაკვეთი მიწა ზომით 193 ოთხკუთხიანი საჟენი 680 მანეთათ მდებარე ქალაქ თელავში, კუთვნილი დარჩუა მარტიროზას ძე მარტიროზოვის. 1581 1—1

1920 წ. ივნისის 18-ს ტფილისის უფროს ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ნატალია გაბრიელის ასულმა არუთინოვისამ მიჰყიდა მოქალაქე დავით ლევანის ძე პიტნოვს 320000 მანეთად ნაწილი ნაკვეთი მიწის შენობებით, ზომით 89 ოთხკუთხიანი საჟენი მდებარე მე 2 უბანში ქალაქ ტფილისში საპიორის ქუჩაზედ. ქალაქის № 74. 1485 1—1

1920 წ. ივნისის 28-ს ტფილისის უფროს ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნადეჟდა ივანეს ასული ავსარქისოვმა მიჰყიდა ილარიონ გერმანეს ძე გრიგოლიას 525.000 მან. ერთი ნაკვეთი მიწისა, ზომით 107,63 ოთხკუთხიანი საჟ., მდებარე ქ. ტფილისში, მე-3 უბანში, ქალაქის №№ 405 და 405 A ქვეშ. 1645 1—1

1920 წ. ივნისის 17-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე იოსებ ადამის ძე ვარსიმაშვილმა მიჰყიდა მოქალაქე ნინო გიორგის ასულს ვარსიმაშვილისას უფლება ნახევარი წილი ნაკვეთი მიწის, ზომით 43,2 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე მე-7 უბანში ქალაქ ტფილისში. ქალაქის № 1094.
1469 1—1

1920 წ. ივნისის 30-ს ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან ჩანიშნული იქმნა სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა შემზადებული ქალაქ ს ნოტ. სტრახოვისაგან 1914 წ. დეკემბრის 18-ს. იოსებ ნერსესას ძე ათაბეგოვმა შეიძინა ნაკვეთი მიწა საჯარო ვაჭრობაზე 12 დეკემბერს 1914 წელს ზომით 200 ოთხკუთხიანი საჟენი 286 მანეთად მდებარე 1-ლ უბანში ქალაქ ტფილისში ქალაქის № 1701 ქვეშ. ეკუთვნოდა წინად ივანე ალექსანდრეს ძე ტაიროვის მემკვიდრეებს.
1687 1—1

1920 წ. ივნისის 18-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ვარვარა გრიგორის ასულმა თუშაბრამოვმა მიჰყიდა მოქალაქე სერგეი სიმონის ძე ბადალოვს 100000 მანეთად ნაწილი ნაკვეთი მიწის, შენობებით, ზომით 76 ოთხკუთხიანი საჟენი მდებარე მე 9 უბანში ქალაქ ტფილისში ლაბინსკი ალაჩირის შესახვევში ქალაქის № 227.
1492 1—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და ხელზე ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან—ერნესტი მარტინის ძე მატულევიჩის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.
1983. 3—2

დაიკარგა მილიციონერობის მოწმობა № 734 ვართან გუსტოს ძე გალავონოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1985. 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა ლეონ კონიას ძე ლალიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1912 წ. ივნისის 14 ს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1980 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი იოსებ ალექსანდრეს ძე ნარიმანოვის სახელზე, მიღებული ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისაგან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.
1981. 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში შემოიტანა ოლღა გიორგის ასულმა კლეშჩინსკაიამ თხოვნა თავის ქმრის ვიკენტი კარლის ძის კლეშჩინსკზედ, რომელზედაც დაიწერა ჯვარი 1908 წელსა და ითხოვს განქორწინებას ვიკენტი კარლოს ძის კლეშინსკისაგან მის უკვალოდ დაკარგვის გამო, რომელიც დაიწყო 1910 წელსა, ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით ყველა ვალდებულია აცნობოს სამიტროპოლიტო სასამართლოს მისი მისამართი ორი თვის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა. 1984 1—1

ტფილისის საეპარქიო სამიტროპოლიტო სასამართლოში თამარ იასონის ასულმა ზოლოტარევისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ბორის გაბრიელის ძე ზოლოტორევი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1915 წ. უკვალოდ დაიკარგა 1918 წ. ყველა, ვინც კიბორის ზოლოტორევის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა ორი თვის განმავლობაში. 1997 1—1

ქ. ტფილისის მე-14 და მე-15 სამომრიგებლო უბნების სასამართლოს ბოქაული ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ აგვისტოს 18 ს 1920 წ. დილის 10 საათზე რეუტოვის ქუჩაზე სახლში № 25 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გრიგოლ ეგორის ძე ბეუოევის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შესდგება ხის ავეჯისაგან, ისრაილ ბუდაგიანის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად ტფილისის სამოსამართლო პალატიდან 7 ივლისის 1920 წ. თარიღით, № 4077, მიცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ქონება შეფასებულია 110 ათასი მან. 1986 1—1

1929 წ. ივნისის 26 ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ანნა ავეტიქას ასულმა არარატოვისამ მიჰყიდა მელქისადეგ ამბაკოს ძე სალუქვაძეს ასი ათას მან. ერთი ნაკვეთი მიწა შენობებით, ზომით 69,31 ოთხკ. საჟენი, მდებარე ქ. ტფილისში. მესამე უბ. ქ. ქალაქის № 320 და 320.ა. 1608 1—1

1920 წ. თიბათვის 28-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეკატერინე მელქოს ასულმა ფირანოვისამ მიჰყიდა გერასიმე წყალობას ძე არუთინოვს ოცდა რვა ათას მანეთად ერთი ნაკვეთი მიწა, შენობებით ზომით ოცი მთელი და ხუთმეტი მეასედი ოთხკუთხი საჟენი, მდებარე ქ. ტფილისში მეშვიდე უბანში, სურპ-კარაპეტის ქუჩაზედ ქალაქის № 406. 1500 1—1

1920 წ. ივნისის 26 დღესა ტფილისის უფროს ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც აბრაამ გიორგის ძე ჯარემშნელოვმა მიჰყიდა იოანე გიორგის ძე ნარსიას 200.000 მან. ერთი ნაკვეთი მიწისა, ზომით 107 ოთხკუთხიანი საჟ., მდებარე ქ. ტფილისში, მე-12 უბანში, ქალაქის № 165 ქვეშ. 1606 1—1

1920 წ. ივნისის 28 დღეს ტფილისის უფროს ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც საიპტ—ხანუმა გუსეინ აღა კიზი იედიგაროვისამ მიჰყიდა გუსეინ სულეიმან ოღლი 350.000 მან., ზომით გიორავნობის მოწმობით 90 ოთხკუთხიანი საჟ., და გაზომით 94 ოთხუთხიანი საჟ., მდებარე ქალ. ტფილისში მე 5 უბანში, ქალაქის № 945 ქვეშ. 1547 1—1

გიორგი სიმონის ძე ღლონტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობები სურათებით თავის, მისი ცოლის, დედის და დის სახელზე, მიღებული რკინის გზის სამმართველოდან, ს დ. პარტიის წევრობის წიგნაკი და სხვა საჭირო საბუთები. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1970 3—3

1920 წ.ი ვნისის 19. ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეკატერინე ნიკოლოზის ასულმა ვახვახიშვილისამ მიჰყიდა თელავის სამაზრო ერობას ერთ მილიონ მან. ერთი ნაკვეთი მიწა შენობებით, ზომით 1608 ოთხკ. საჟ., მდებარე ქალ. თელავში, ქალაქის № 2149. 1531 1—1

1920 წ. ივნისის 27, ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ხიზრი მაჰმედ ოღლი კაქლაევმა მიჰყიდა იბრაგიმ მაჰმედ ოღლი კაქლაევს ათი ათას მანეთად უფლება მესამედი ნაწილი ნაკვეთი მიწისა, ზომით $19^1/_2$ ოთხკ. საჟ. მდებარე ქალ. ტფილისში მე-4 უბანში, ქალაქის № 345 ქვეშ. 1584 1—1

1920 წ. ივნისის 11, ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სტეფანე ივანეს ძე იაკიმოვიჩმა მიჰყიდა სერგო გრიგორის ძე პოპოვს 2600 მან. ერთი ნაკვეთი მიწისა, ზომით 1300 ოთხკ. საჟ. მდებარე სოფ. მართაფაში. № 6 ქვეშ. 1416 1—1

ნაფარეულის უბნის სამომრიგებლო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ვანო ზაქარიას ძე რაიბულის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ვანო რაიბულის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხლის ძალით დადგენილ ვადაში. 2012 1—1

ქ. გუდაუთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე 1401 და 1402 მუხ. სამ. წეს. ძალით იწვევს 21 ივლისს 1918 წ. ქალ. გუდაუთში გარდაცვალებულ ამბერკი (ბეკია) პავლეს ძე ნადარეიშვილის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ მე-1241 მუხ. X ტ. 1 ნაწ. სამ. კან. დაწესებულ ვადაში თავისი უფლება ზემოხსენებულ ნადარეიშვილის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 2013 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 107 ნერსეს არიუტინის ძე გრიკოროვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
1994 3—1

დაიკარგა სახლის დავთარი სუპ-კარაპეტის ქუჩა № 25 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გორგაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს.
1996 3—1

დაიკარგა პასპორტი № 688 ვარვარა ბაგდასარის ასული კოჩაროვის სახელზე, მიღებული ქ. კიევიდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1999 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი გასპარ ხითარიშვილის სახელზე, რკინის გზის გადალმა ბალდასაროვის ქუჩაზე მდებარე სახლის, რომელიც ახლა ეკუთვნის გეურქ ბაინდურაშვილს გაუქმებულად ჩაითვალოს. 2000 3-1

დაიკარგა ოცი ცალი აქციის დროებითი ბარათი № 497 ალექსანდრე დიმიტრის ძე ჯავახიშვილის სახელზე, მიღებული ცენტრო ბანკიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2005 3—1

დაიკარგა სამხედრო უბანზე მიწერილობის ბარათი № 78, გარეგინ სარქისის ძე სარქისიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2006 3—1

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი, მიღებული მათხოჯის ეკლესიიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. ვასილი დავითის ძე ბარაბაძის სახელზე.
2008 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 81 მიღებული სახელმწიფო კონტროლის საგზაო სექციიდან მოანგარიშე მოხელის მარიამ ფარეიშვილის დედის-ოღლა ფარეიშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2010 3-1

საქართველოს სახაზინო რკინის გზებისთვის

საჭიროა 1000 ფუთამდე კარბოფილის (სტეარინის ან პარაფინის) **სანთელი** ოთხ ცალიანი რკინის გზების ტიპისა. მიიღება მცირე პარტიებიც ნაღდ ფულზე. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მოსალაპარაკებლათ რკინის გზების სამმართველოში სამასალო განყოფილების უფროსს დილის 8—2 სამთამდე, საჭიროა ნიმუშების წარმოდგენა.
787 3—2

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გიორგოლ მაჭავარიანი